



მენორა

გამოდის 1993 წლის მარტიდან
2000 წლის მარტიდან გამოდის თვეში ორჯერ
გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
WWW.opentext.ge/menora


| | | |
|--------------------------------|-------------------------------------------------------|------------------------------------------|
| ებრაული გაზეთი საქართველოში | “מנורה” עיתון יהודי בגוריה | “МЕНОРА” ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ |
|--------------------------------|-------------------------------------------------------|------------------------------------------|

| |
|------------------------------------------------------------------------------------------|
| საქტამბარი (კლუსი) 16-30 №18 (282) (5768 წელი) 2008 წელი ფასი 50 თეთრი |
|------------------------------------------------------------------------------------------|

מנורה

30 საქტამბერი – 1 ოქტომბერი
ებრაული ასაღი წელი

გილთკეთ!



ქართული ებრაელობის კიდევ ერთი წინადადებული ნაბიჯი — დიდი ღვთის მუხის უკვდავი ქნილების ახალი თარგმანი

საგალობელი 1

1. ნეტარია კაცი, რომელიც არ იარება ბოროტული ზრახვით, ცოდვილთა გზას არ ადგას და ქილიკთა საკრებულოში არ დასაყუდრდება. 2. არამედ უფლის მოძღვრებაშია მისი ნადილი და მის მოძღვრებაში ჭირნახულობს დღედაღამ. 3. და სუფევს იგი, ვით ხე დანერგილი წყლის ნაკადებთან, თავის დროზე რომ ანიაღვრებს ნაყოფს და ფოთოლი მისი არ ჭკნება. და ყოველივეში, რასაც იქმს, წარმატებულია. 4. ბოროტეულნი ამგვარნი არ არიან, რამეთუ ქარისაგან აღგვილ ქუჩეჩოს სადარნი არიან. 5. ამიტომ სამართალში ბოროტეულნი ვერ წარდგებიან, ხოლო ცოდვილნი მართალთა სათვისტომოში. 6. რამეთუ უფალმა უწყის მართალთა გზა, ბოროტეულთა გზა კი წარიხოცება.

საგალობელი 2

1. რად ბობოქრობენ წარმართნი, ერები კი ამოებებს ელტვიან. 2. ქვეყნიერების მეფენი ამბედრებულან, დიდკაცი უფლის წინააღმდეგ დრტვიან ვენერთად, და მის ცხებულზე გალაშქრებულან. 3. „დავგლეჯთ მათს სადავეებს და გადავტყორცნით მათ ხუნდებს.“ 4. ცად მოვანებულს გაეცინება და უფალი გაქირდავს მათ. 5. მაშინ მათ ეტყვის თავისი რისხვით და თავისი მძვინვარებით შეაძრწუნებს მათ: 6. „მე კურთხეულვყავ ჩემი მეფე ციონზე — ჩემს წმიდა მთაზე.“ 7. გაუწყებ ღვთიურ კანონმდებლობას: „ძე ხარ ჩემი, დღეს გშობე; 8. მთხოვე და ერებს სამკვიდროდ გინილბედებ, სამფლობლოდ კი ქვეყნის კიდებებს. 9. რკინის კვერთხით დაღენავ მათ, მექოთნის ჭურჭლივით დამუსრავე.“ 10. ან, კი მეფენო, გონს მოდიო! ქვეყნიერების მსაჯულნი, სამოძღვრებო დამრიგებლობით განიმსჭვალენით! 11. მსახურებდეთ უფალს კრძალვით და ნეტარებდეთ თრთოლით. 12. აღიჭურვენით უბინოებით, რომ არ განრისხდეს იგი და გზად ნუ მოისვრებით, რამეთუ ცოტაცდა აღიგზნება რისხვა მისი. ნეტარ არს ყველა, მისადმი მისაფრებული.

საგალობელი 3

1. საგალობელი დავიდისა. რაჟამს გაურბოდა აბშალომს, თავის ძეს. 2. უფალო, რარიგ მომრავლდნენ ჩემი შემაჭირვებელნი, ჩემს წინააღმდეგ აღდგა მრავალი. 3. ბევრი ეუბნება ჩემს სულს: „არ არის მისთვის შემწეობა ღმერთისმიერი“ სელა! 4. შენ კი, უფალო, ჩემი ფარი ხარ, დიდება ჩემი და ჩემი თავის ამმალღებელი. 5. ჩემი ხმა უფლისადმია, ვლალადებ და ის მიპასუხებს თავისი წმიდა მთიდან. 6. ვწვები, ვიძინებ და ვიღვიძებ რამეთუ უფალი არს მეოხე ჩემი. 7. ვერ შემაშინებს ხალხის ათი ათასნი, გარს რომ მერტყმან. 8. აღსდექე უფალო, მიშველე, ჩემო ღმერთო, რამეთუ შენ აგემებ სილის განვნას ყველა ჩემს მტერს, უღმრთოთ უმუსრავ კბილებს. 9. უფლისმიერია შველა. შენი კურთხევა შენს ხალხზე (გარდმოვლინდება). სელა!

საგალობელი 4

1. ლოტბარს: ნეგინოთითურთ. დავიდის საგალობელი. 2. რაჟამს მოგიხმობ მიპასუხე, ჩემი სიმართლის ღმერთო. ვინროობაში ჩემი (სამწყო) განავრცე, შემინყალე და ჩემი ლოცვა ისმინე. 3. ძენო კაცისა! როდემდე იქნება ჩემი ღირსება განზილებული? (როდემდე) გეყვარებათ ამოებება და ეძიებთ სიცრუეს? სელა! 4. იცოდეთ, რომ ზენაარმა ღვთისმოსავი თავისთვის წარჩინებულყო. უფალი ისმენს, რაჟამს მას ვუხმობ. 5. თრთოდეთ და ნუ შესცოდავთ: თქვენს გულში

წიგნი თაჰილი-საგალობელთა

ბჭობდეთ, თქვენს სარეცელზე, დუმდეთ. სელა! 6. შესწირეთ სანირავები სიმართლისა და ერწმუნეთ უფალს. 7. მრავალნი ამბობენ: ვინ გვახილვებსო სიკეთეს? გარდმოავლინე ჩვენდამი ნათელი შენი სახისა, უფალო! 8. შენი სიხარული მიაგე ჩემს გულს, უფრო მეტი, ვიდრე მათი პურისა მათი მაჭრის სიუხვის ჟამს. 9. ზენაარო, დავენები და მყის დავიძინებ მშვიდად, რამეთუ შენ, ზენაარო, მხოლოდ (შენ), დამამკვიდრებ უსაფრთხოებით.

საგალობელი 5

1. ლოტბარს, ნეხილოთითურთ. დავიდის საგალობელი. 2. ჩემს უბნობას დაუყურადე, ზენაარო, ჩემი ზრახვანი შეიგონე. 3. ისმინე ხმა ჩემი გოდების, ჩემო მეუფე და ღმერთო ჩემო, რამეთუ შენდამი ვლოცულობ. 4. ზენაარო, დიდილობით ისმინე ხმა ჩემი, დილას გავმართავ შენდამი (ლოცვას) და დაგელოდები. 5. რამეთუ ღმერთს არ სწადია უაღალმართლობა, ვერ დასადგურდება შენთან ავისმქნელობა. 6. ვერ წამომართებიან შენს თვალთა წინაშე ქედმაღლნი, შენ მოიძულე ყოველი მოქმედი უმართლობისა. 7. დაღუპავ სიცრუის მოუბარს; სისხლისმღვრელი და ცბიერი სძაგს უფალს. 8. და მე შენი უხვი წყალობით მოვალ შენს სახლსანმიდარში, შენს წმიდა სანმიდარს ვეთაყვანები შენდამი კრძალვით. 9. უფალო, წარმართე შენი სიმართლით, ჩემს მტერთა გამოისობით, ჩემს წინაშე გაკვალე შენი გზა. 10. რამეთუ არ არს მათ ბაგეზე მართებულობა, მათ ნიაღში — უმართლობაა, მათი ხორხი — ღია საფლავია, მათი ენა — მლიქვნელურია. 11. ამხილე ისინი, ღმერთო, თავიანთ ზრახვათა გამო გადაიჩეხნენ; მათ გარდახდომილობათა სიმრავლისათვის ისინი უკუაგდე, რამეთუ შენდამი ამბობდნენ. 12. დაე, გაიხარონ შენდამი მსასობლებმა, მოილხინონ სამარადჟამოდ, გაუნიე მათ მფარველობა, შენით გაიხარონ შენი სახელის მოყვარულებმა. 13. რამეთუ შენ კურთხეულყოფ მართალს, უფალო, ჯავშნისაებრ, კეთილგანწყობილებთ დააგვირგვინებ.

ჩემს მტერთა გამოისობით, ჩემს წინაშე გაკვალე შენი გზა. 10. რამეთუ არ არს მათ ბაგეზე მართებულობა, მათ ნიაღში — უმართლობაა, მათი ხორხი — ღია საფლავია, მათი ენა — მლიქვნელურია. 11. ამხილე ისინი, ღმერთო, თავიანთ ზრახვათა გამო გადაიჩეხნენ; მათ გარდახდომილობათა სიმრავლისათვის ისინი უკუაგდე, რამეთუ შენდამი ამბობდნენ. 12. დაე, გაიხარონ შენდამი მსასობლებმა, მოილხინონ სამარადჟამოდ, გაუნიე მათ მფარველობა, შენით გაიხარონ შენი სახელის მოყვარულებმა. 13. რამეთუ შენ კურთხეულყოფ მართალს, უფალო, ჯავშნისაებრ, კეთილგანწყობილებთ დააგვირგვინებ.

საგალობელი 6

1. ლოტბარს: რვასიმინან საკრავზე. დავიდის საგალობელი. 2. ზენაარო, შენი მრისხანებით ნუ მამხილებ და შენი მძვინვარებით ნუ დამსჯი. 3. შემინყალე, უფალო, რამეთუ მე ვარ ბედკრული, განმკურნე, უფალო, რამეთუ ძრნიან ჩემი ძვლები. 4. ჩემი სულიც ძრნის ძალუმად, და შენ, უფალო, როდემდე? 5. მობრუნდი, უფალო, ჩემი სული გადაარჩინე, შენი წყალობისათვის მიშველე. 6. რამეთუ სიკვდილში არ არს შენი


ხსენება; ქვესკნელში შენი სამადლობელი ვის აღმოხდება? 7. ვარ დამაშვრალი, ჩემი გოდებით, ყოველამ ჩემს სანოლს განვბან, ვალტობ ჩემს ქვეშაგს ცრემლთა დინებით. 8. სევდით მოინისლა ჩემი თვალი, გადმომცვივდა ყოველი მტრის გამოისობით. 9. განმერიდეთ, ყოველნი მოქმედნი უმართლობისა, რამეთუ უფალმა ისმინა ხმა ჩემი მოთქმისა. 10. ისმინა უფალმა ჩემი ვედრება, ჩემს ლოცვას მიიღებს უფალი. 11. შერცხვებთან ყოველნი მტერნი ჩემნი და ძალუმად შეძრწუნდებიან, უკუქცევიან და მეყსეულად განზილებიან.

საგალობელი 7

1. დავიდის შიგაიონი, უფალს რომ უმღერა ბენია-მინელი ქუშის სიტყვათა გამოისობით. 2. უფალო, ღმერთო ჩემო! შენ გეხიზნები, გადამარჩინე ყოველი ჩემი მდევნელისაგან, მიხსენი. 3. არამც დაგლიჯოს, ვით ლომმა, სული ჩემი, შაშრავს და არვინ არს მხსნელი. 4. უფალო, ღმერთო ჩემო! თუ ასერიგად ვქმედებდი, ჩემს ხელთ თუ არს უმართლობა, 5. თუ ჩემს კეთილმოსურნეს მივაგე ბოროტული და გავათავისუფლე გინდ ჩემი მტერი ხელცარიელი; 6. დაე, სული ჩემი დევნოს მტერმა და მოენიოს, დაე, მინად დათრგუნოს სიცოცხლე ჩემი, და მტვრად მოავანოს დიდება ჩემი. სელა! 7. აღსდექე, უფალო, შენი რისხვით, ჩემს შემაჭირვებლებზე მძვინვარებით ამალღდი, გამოაღვიძე ჩემთვის შენმიერ ნაბრძანები მართლმსაჯულება. 8. ერების სათვისტომო გარს მოგადგება, მასზე მოიქეც ამალღებული. 9. ზენაარი განსჯის ხალხებს! განმსაჯე, უფალო, ჩემი სიმართლისამებრ და ჩემი უბინოებისამებრ. 10. აღკვეთე, გენუკვი, უღმრთოთა ბოროტეული, ხოლო მართალი (კაცი) წარმართე, (რამეთუ) ღმერთო მართალო, ხარ გულთა და თირკმელთა შემომწმებელი. 11. ღმერთისმიერია ჩემი ფარი — გულწრფელებს შველის. 12. ღმერთი მართალი მსაჯულია და (ბოროტეულზე) — დღენიადა მრისხანებს ღმერთი. 13. მახვილს გალესავს — (ავისმქნელი) თუ არ მოიქცა მშვილდს მოზიდავს და მას მიზნისკენ წარმართავს. 14. მომაკვდინებელი იარაღი გაამზადა მისთვის, მწველად ქმედებენ ისრები მისი. 15. აჰა, ჩაესახება უმართლობა, ამოებით დაფეხმძიმდება და შობს მზაკვრობას. 16. ორმო თხარა და ის (სხვისთვის) ამოთხარა, გამზადებულ ორმოში თავად ჩავარდა. 17. მისი მუხთლობა მის თავს დაუბრუნდება და მის თხემს — მისი ძალადობა დაატყდება. 18. ვადიდებ უფალს მისი სამართლიანობისამებრ და ვუგალობებ ზენაარი უფლის სახელს.

საგალობელი 8

1. ლოტბარს: გითითზე. დავიდის საგალობელი. 2. უფალო, ბატონო ჩვენო! მთელ ქვეყანაზე რარიგ ძლევა მოსილია სახელი შენი, რამეთუ ცად აღბეჭდე დიდება შენი. 3. ჩვილთა და ძუძუმწოვართა ბაგეთაგან დააფუძნე ძალოვანობა — შენს შემაჭირვებელთა გამოისობით, რომ იავარგეყო მტერი და შურისმგებელი. 4. რაჟამს შევხედავ შენს ცას — შენს თითთა ქმედებას, შენ მიერ დაფუძნებულ მთვარეს და ვარსკვლავთ, (ვფიქრობ): 5. რა არის კაცი, რომ იხსენიებ? და ადამის ძე, რომ მოიგონებ? 6. ანგელოსთაგან ოდნავ-ჰყავ ის ნაკლოვანად, ღირსებით და დიდებით დაავიჯირგვინე. 7. გამგებლადჰყავ შენს ხელთა ნამოქმედარზე, ყოველივე მის ფეხქვეშ დააფუძნე. 8. მთელი ცხვარ-ძროხა, აგრეთვე ნადირი ველის; 9. ფრინველნი ცისა და თევზნი ზღვისა, მავალნი საზღვაო კვლებით. 10. უფალო, ბატონო ჩვენო! რარიგ ძლევა მოსილია მთელ ქვეყანაზე სახელი შენი.



ისრაელის საპარლამენტო დელეგაცია საქართველოში

მე-2 გვერდიდან

თის სახელი შევინახოთ, თქვენ გჭირდებათ დღეს გაძლიერება, რომ ვინმემ არ თქვას თქვენზე სად ხართ ებრაელებო. ჩვენი ერი ყოველთვის ახლოს იყო ქართველ ერთან და ასე იქნება ბოლომდე. საქართველოს პრეზიდენტიდან დაწყებული ქვეყნის ყველა მმართველ პირს შევხვდით, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ამ ორ ქვეყანას შორის დიდ მეგობრობასა და პატივისცემას. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პრეზიდენტს დრო აქ ჰქონდა, მაინც მოახერხა და თავის რეზიდენციაში მიგვივილო. ეს ყველაფერი იმის ნიშანია, რომ ქართველი ერი აფასებს იმ გულთბილობას, რასაც ჩვენი ერი აკეთებს ქართველებისათვის. ის, რასაც ვაკეთებთ, არ უნდა დაიკარგოს, ბატონო შალვა, მაგრამ არც უნდა ვიყვიროთ ამის თაობაზე...

შალვა ქოსაშვილი:

— მაპატიეთ, რომ განყვეტინებთ, მაგრამ, როცა ორი ტონის მაგივრად, ერთი იწერება, ცოტა უხერხულია, მე მგონი.

აბრაამ მიხაილი:

— გეთანხმებით, არასასიამოვნო ფაქტია, მაგრამ არ ღირს ამაზე ყურადღების გამახვილება. კიდევ არის რამდენიმე საკითხი, რაც ჩვენ ჩავინიშნეთ და ყველანი ერთად შევეცდებით დახმარებას. ჩვენ დღეს ვიყავით სკოლებში და ძალიან მოხარული დავრჩი, რომ ებრაელი ბავშვები იზრდებიან ებრაულ სკოლებში, სწავლობენ ივრითს და ებრაულ ტრადიციებს. ღმერთმა ნუ დაგვაჭირვოს ერთმანეთი გაჭირვებაში, მაგრამ როცა უჭირს ძმას, გავაკეთოთ ყველაფერი ბუნებრივად და უასაყიდლოდ. გისურვებთ დღეგრძელობას და ბედნიერ მრავალ ახალ წელს.

ებრაული თემის რამდენიმე წარმომადგენელმა იქვე დახმარება თხოვეს ბატონ აბრაამს, რაშიც მან მხარდაჭერა აღუთქვა და თხოვა თემს არ მოერიდონ თავიანთ პრობლემებზე ლაპარაკს, მიუხედავად იმისა, რომ ბატონი აბრაამი ისრაელში მოღვაწეობს, ისმუდმივ მხარდაჭერას და დახმარებას დაპირდა ქართველ ებრაელებს. მანვე გადასცა გაბაის, დიდი რაბის **ოვადია იოსეფის** წერილობითი კურთხევა და დალოცვა.

ჯამაათს სიტყვით მიმართა ქნესეთი ვიცე-სპიკერმა, ბატონმა **იული ივალეშვილი** (ლიკუ-დი):

— პირველ რიგში მოგესალმებით, მიხარია, რომ თქვენს გვერდით ვარ. მე არ ვილაპარაკებ ბევრს. როცა ისრაელის მთავრობა მიხვდა, რომ აუცილებელი იყო ჩვენი დახმარება, ჩარევა და საქართველოში ისრაელის დელეგაციის გამოგზავნა, რისი ხელმძღვანელიც და ინიციატორიც იყო ბატონი აბრაამი და მე უბრალოდ მიინდა დიდი მადლობა გადავუხადო მას ამისთვის და იმისთვისაც, რომ საშუალება მოგვცა დავხმარებოდით. ამ საქმეში. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ დღეს გორში ისრაელის დროშები ფრიალებს და ჩვენი მადლიერია მთელი საქართველო.

საზოგადოებას მიმართა და დახმარება აღუთქვა პარლამენტარმა **ლეონ ლიტინსკიმ** (პარტია „ავოდა“). მანაც თავის მხრივ დიდი მადლობა გადაუხადა ბატონ აბრაამს ამ ინიციატივისთვის.

დელეგაციას მიესალმა და სუვენირები გადასცა სპორტულმა კომენტატორმა **ჯამლეტ ხუხაშვილმა**.

საქართველოს ებრაელთა კულტურის ცენტრის პრეზიდენტი და საქართველოს მაკაბის საზოგადოების პრეზიდენტი ბატონმა **გურამ პაატაშვილმა** თხოვნით მიმართა დელეგაციის წევრებს, რომ საქართველოში და ნებისმიერ ქვეყანაში, ვინც ადგილზე ხელმძღვანელობენ ებრაული საზოგადოების ცხოვრებას, გათვალისწინებულ იქნას, რომ ამ ხალხს ყურადღება სჭირდება და თუ ისინი ჩავლენ ისრაელში საცხოვრებლად, მათ უნდა მიექცეთ ყურადღება და მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ის საქმე, რასაც ისინი აკეთებენ ებრაელებისთვის. ეს საკითხი აქამდე ორ პრემიერ-

აბრაამ სკოლაში



მინისტრს გავაცანი, თუმცა, რეაგირება მათზე არ მომხდარა..

შეხვედრის დასასრულს დელეგაციის ხელმძღვანელმა ბატონმა აბრაამ მიხაილმა ჯამაათს გადასცა ისრაელიდან წამოღებული საროშოშანო თაფლი, ღვინო და მომავალშიც დახმარება და თანადგომა აღუთქვა.

ამის შემდგომ ისრაელიდან ჩამოსული დელეგაცია, ებრაულ სახლს ესტუმრა, სადაც „ხესედ ელიაჰუს“ დირექტორმა, ებრაული სახლის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარემ ბატონმა **რეზო შათაშვილმა** გააცნო მათ ორგანიზაციის საქმიანობა და დაათვალიერებინა შენობა. სტუმრებს მოხუც ებრაელთა მიერ გაკეთებული ქუდები გადასცეს საჩუქრად, ასევე დაათვალიერეს დახმარების შტაბი, სადაც გორელებს ღებულობდნენ, ბიბლიოთეკა და ბავშვთა ჯგუფი, ასევე საკონცერტო დარბაზი.

თინათინ შანგელია



ჯამთ ქანსათში

რედაქციისგან:

ვიზიარებთ ბ-ნი გაბაის მიერ ზემოთ გამოთქმულ გულსტიკივლს იმის გამო, რომ ინფორმაციაში გაიპარა უზუსტობა. მაგრამ გულსტიკივლის გამოხატვა როგორც მისი, ასევე რედაქციის მხრიდან, არ გახლავთ გარანტი უზუსტობათა, ლაფსუსების აღკვეთისა. ამის გარანტი გახლავთ ურთიერთთანამშრომლობა. გაბაი კი, ჩაება რა „მ“ წინააღმდეგ აგორებულ პიარკამპანიაში, ფესახის წინ მასთან საგანუთო ინტერვიუსათვის მისულ „მ“ ჟურნალისტს უარი განუცხადა ეპასუხა კითხვას: „როგორ ემზადება ბეით ქნესეთი ფესახისათვის“. მიზეზი? — თქვენ ჩვენი ელჩის ღირსება შელახეთ!

ავგისტოს დამდეგს კი „მ“ დაუკავშირდა გაბაის მოადგილეს და სთხოვა საუბარი განეული ჰუმანიტარული დახმარების რაობასა და რაოდენობაზე. მოადგილემ თანხმობა განაცხადა, მაგრამ გვიან საღამოს გვაცნობა, ხვალ დილით ქალაქიდან გავდივარ, როცა დავბრუნდები, დაგირეკავთო.

რედაქცია იძულებული გახდა დაყრდნობოდა ინფორმაციას, რომელიც ტელევიზიით მოისმინა, ამიტომ არც ლაფსუსს გამოვრიცხავთ.

ხოლო რაც შეეხება ბ-ნი ქოსაშვილის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი სურათი სად უნდა „ჩაიბეჭდოს“, იმდენად ღიმილისმომგვრელია, რომ კომენტარს არც ვაგუუკეთებთ.

თავისი საქმიანობის პატივისცემელი ორგანიზაცია ყოველი ღონისძიების წინ რედაქციებს აცნობებს ჩასატარებელი ღონისძიების თაობაზე, ან ავრცელებს პრეს-რელიზს, მაგრამ ეს ხომ თანამშრომლობაა. გაბაი კი კონფრონტაციას არჩევს და ეს ერთმა გარემოებაზე დაადასტურა: რედაქციის მუშკს გაბაისთან სატელეფონო საუბარი ჰქონდა პარლამენტარებთან შეხვედრამდე ორი დღის წინათ. ამ საუბარში მას არ გამოუთქვამს უკმაყოფილება პუბლიკაციასთან დაკავშირებით. როგორც ჩანს, უახლოესმა გარემოცვამ გაზეთთან კონფრონტაციის კიდევ ერთი „პრეზენტაციის“ მოწყობა ქნესეთის წევრებთან შეხვედრისას ურჩია. ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რატომაც.

იმის შეფასება, თუ რამდენად სწორია გაბაის მიერ არჩეული გზა, მკითხველისთვის მიგვიჩინია.

რედაქცია კი აცხადებს:

- ა) ისრაელის ქნესეთის წევრები ბეით-ქნესეთში იმისთვის მოვიდნენ, რომ გაცნობოდნენ მის ცხოვრებას, გაბაისგან მიეღოთ ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ როგორ ხდება ჯამაათის წევრების რელიგიური მისწრაფებების დაკმაყოფილება, რა პირობები იდგას ჯამაათის წინაშე, რა აკლია ბეით-ქნესეთს და არა არის იმის მოსაძიებელი, თუ როგორ გამოხატავს გაბაი ერთი დაჯგუფების ინტერესებს. მას, როგორც ირკვევა, იქვე მიანიშნეს.
- ბ) რედაქცია შ. ქოსაშვილს შეახსენებს, რომ ვიდრე იგი ბეით-ქნესეთის გაბაია, ვალდებულია ითანამშრომლოს ყველა ებრაულ ორგანიზაციასთან.
- გ) გაბაი კი აღრმავებს კონფრონტაციას.
- დ) ყოველ პიროვნებას აქვს უფლება მოიქცეს ისე, როგორც მას კარნახობს თავისი კულტურა, თვითშეგნება, გამოცდილება, ინტერესები. მაგრამ ამის უფლება არა აქვს ორგანიზაციის ხელმძღვანელს, მითუმეტეს, ბეით ქნესეთის გაბაის. ამასთან, არსებობს იმის უფლება — გამოითქვას აზრი ამათუმი მოქმედების ირგვლივ. „მ“-ს რედაქცია, ალბათ, გამოიყენებს უფლებას საზოგადოებას გააცნოს თავისი დამოკიდებულება ბეით-ქნესეთის მართვის სტილისადმი, იმ ტენდენციებისადმი, რომელიც ბოლო წლებში აქ დამკვიდრდა. კონფრონტაცია რამდენიმე თვეა გრძელდება. რამდენიმე თვეა „მ“ უპასუხოდ ტოვებს გამოხდომებს. როგორც ჩანს, დუმილი ადეკვატურად არ იქნა აღქმული და დღის წესრიგში დგება აუჩქარებელი, დინჯი, გააზრებული საუბარი ბეით-ქნესეთის გაბაის მუშაობის სტილზე. ამასთან ერთად, მკითხველს ერთ სასიამოვნო ინფორმაციასაც მივანდით: რომ შაშანის წინ მიმდინარეობს ბეით ქნესეთის კეთილმოწყობა. ახლა აქ ხელოსნები დაფუსფუსებენ.

აშენ ტსტრინი საქართველოში



ამ დღეებში საქართველოში იმყოფებოდა იერუსალიმის „ჯოინტის“ მეთაური ბ-ნი აშენ ტსტრინი...

აშენ ტსტრინი უნიხარესად გორში ჩავიდა, აქ იგი გაეცნო აგვისტოს აგრესიის შედეგად დაზარალებულ ქალაქს...

იმავე დღეს ბ-ნი აშენ ტსტრინი და იცკი ავერუხი ესტუმრნენ ებრაულ სათემო სახლს... „ხესედ ელიაჰუს“ დირექტორმა რევაზ შათაშვილმა...

საქართველოს პროფესიული კავშირის განათლების მუშაკთა და

„ჯოინტის“ ერთობლივ პროექტში მონაწილე მსმენელების სტაჟირების პროცესის გასაცნობად, აშენ ტსტრინი და იცკი ავერუხი ენვეიენენ ქალის ტანსაცმლის მკერავის კურსების გავლის შემდეგ სტაჟირებაზე მყოფ მსმენელებს „სამკერვალო ფაბრიკა და კამპანიში“...

ფაბრიკაში მოსულ სტუმრებს დახვდა პროგრამის ორგანიზატორი დანიელ დავითაშვილი, რომელმაც გააცნო მათ მსმენელების საქმიანობა და მიღწევები, სტუმრებმა დაათვალიერეს მსმენელების მიერ შექმნილი ესკიზები, გაეცნენ სანარმო პროცესს...

დანიტერესებულია დევილთა და განათლების სამინისტროც, ამაში მონაწილეობას მიიღებს ყველა ის ორგანიზაცია, რომელიც ამ პროგრამაშია ჩართული...

ბ-ნი აოსტრინის ორიოდ კითხვით მიემართეთ:

— ბატონო აშენ, რას გეცხვით ვიზიტთან დაკავშირებით?

— შესანიშნავია თქვენი სამშობლო, ჩვენ ძალიან მოხარულნი ვართ, რომ ვესტუმრეთ გორს. ხალხმა, ვისაც ჩვენ იქ ველაპარაკეთ, ჩვენი მთავრობის და ჩვენს მიმართ დიდი მადლიერება გამოხატეს...

— რას ეცხვით ებრაულ ერს ჩვენს სახალწლო ნომერში?

— მოგხსენებათ, მალე მოდის რომ ჰაზანა, ვისურვებდი, ეს წელი თითოეული ჩვენთაგანისთვის ყოფილიყოს მშვენიერი და ბედნიერების მომტანი წელი...

პროფესიული გადამზადების ორგანიზატორი დანიელ დავითაშვილი:

— მოხარული ვარ, რომ „ჯოინტის“ პირველმა პირებმა მოახერხეს ჩვენთან მოსვლა და თავად დარწმუნდნენ, თუ როგორ მიდის მსმენელების მომზადება, ეს პროგრამა „ჯოინტის“ დაფინანსებულია. კარგია, რომ მათ თავიანთი თვალით იხილეს მსმენელები მუშაობის პროცესში, ისინი დაგვიპირდნენ დახმარებას პროფესიული სასწავლებლის შენობის რეაბილიტაციაში...

თინათინ შენგელია

ისრაელის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი თბილისში



14 სექტემბერს საქართველოს საქმიანი ვიზიტით ესტუმრა ისრაელის ჯანდაცვის მინისტრი იაკოვ ბენიუზერი. ბატონი მინისტრის მიზანი იყო გაცნობოდა საქართველოში ჯანდაცვის პროგრამას...

18 სექტემბერს ბატონი მინისტრი ესტუმრა თბილისის ებრაულ სათემო სახლს. გაეცნო სახლის საქმიანობას, აღნიშნა, რომ ისრაელის სახელმწიფო მზად არის დაეხმაროს ქართველ ერს...

სამედიცინო პროგრამა. გაესაუბრა პროგრამის ხელმძღვანელობას და სამეურვეო პირებს.

ებრაულთა კულტურულ საგანმანათლებლო ფონდში (დირექტორი ელენე ბერკოვიჩი) ისრაელელმა სტუმრებმა მოინახულეს საბავშვო ჯგუფი „შალომ სეზამი“...

მოსმენილი სტუმრები მეტად კმაყოფილნი დარჩნენ და სანამ ისრაელელები ებრაულ სახლს დატოვებდნენ „ხესედ ელიაჰუს“ სასადილოში ისინი გემრიელ სადილზე მიიპატიჟეს...

მოვიხსნათ საქართველოში სინაგოგა, სოხნუთი და ებრაული სკოლები. მემინდა ყველას მადლობა გადაუხადო, ვინც აქ მოღვაწეობს და მათაც, ვინც ამ თბილ სახლს სტუმრობს. მადლობა გადაგიხადოთ ყველას, როგორც ებრაულ, იმისათვის, რომ აქ მოღვაწეობს და მოსული სტუმრები დაინტერესებულნი არიან ისრაელის ისტორიით...

გაზეთ „მენორასთან“ საუბრისას ბატონმა იაკოვმა განაცხადა, რომ: ბედნიერი იქნებოდა საქართველოს კვლავ წვეოდა.

სოფო ქანაშვილი

შპს-აზიის კონსტრუქციის საქართველოში

ჩვენს მკითხველს უკვე ვუამბებთ, თუ რაოდენ სერიოზული დახმარება გაუწია ევრო-აზიის ებრაულმა კონგრესმა აგვისტოს შედეგად ლტოლვილად ქცეულ გორის ებრაელობას და იმათაც, ვინც რუსეთის აგრესიის დღეებში ისტორიულ სამშობლოს მიაშურა...

სექტემბრის დამდეგს კი საქართველოში ჩამოვიდა ებრაელთა კონგრესის გენერალური საბჭოს თავმჯდომარე, უკრაინის „ვადის“ პრეზიდენტი იოსებ ზისელნი. მისი ჩამოსვლის მიზანი გახლდათ ადგილზევე გასცნობოდა საომარი მოქმედების შედეგად დაზარალებულ ებრაელთა ყოფას, ხოლო იმისათვის, რომ სრულად შეეცნო რუსეთის აგრესიის შედეგებს, 7 სექტემბერს ევრო-აზიის ებრაული კონგრესის გენერალური საბჭოს წევრებთან გურამ ბათიაშვილთან და ელენე ბერკოვიჩთან ერთად გორს ეწვია...



მტკაველი მტვერი დასდებია. უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება — თითქმის ყველა დაბომბილი სახლთან ოსტატები მუშაობენ, ინტენსიურად შრომობენ, რომ ადამიანებს მალე მიეცეთ საკუთარ სახლებში დაბრუნების საშუალება. გორში ჩასულთ, დაბომბულ გორს, ქალაქის ებრაელობის ყოფას აცნობდა გორის ბეით-ქენესეთის გაბაი მოშე ბაზაშვილი და „სოხნუთის“ კურატორი გორში ბესო მანაშეროვი...

გორის ბეით-ქენესეთში შეიყარნენ და აქ შეხვდნენ ებრაულ მოსახლეობას. შეხვედრაზე, ძირითადად, მოვიდნენ ისინი, ვისაც არ შეხვდა ევრო-აზიის ებრაელთა კონგრესის დახმარება. თავდაპირველად დახმარება განსაზღვრული იყო ორი კატეგორიის მოსახლეობისათვის. ა) ის, ვინც ისრაელში სამუდამო საცხოვრებლად წავიდა. ბ) ისინი, ვინც რუსული აგრესიის დღეებში თბილისს შეაფარა თავი...

ამათგან ყველა მიიღო დახმარება, რამაც დაახლოებით ხუთი ათეული ათასი დოლარი შეადგინა.

მაგრამ დღეს, როცა საომარი მოქმედება შეწყდა და ადამიანები თავიანთ საცხოვრებლებს დაუბრუნდნენ, ირკვევა, რომ თბილისის გარდა, სხვა ქალაქებსაც შეაფარეს თავი — ებრაული მოსახლეობის ერთი ნაწილი აღმოსავლეთ, თუ დასავლეთ საქართველოს რაიონებშიც იყვნენ. არცერთ ამათგანს დახმარება არ მიუღია. დახმარება არ მიუღიათ, აგრეთვე, „ხესედის“ წევრებს. მათმა მაქსიმალურმა უმრავლესობამ, როგორც უქონელთ, მოხუცებმა ვერც მოახერხეს ქალაქიდან გასვლა და საომარი მოქმედების დღეებში გორში იმყოფებოდნენ. რასაკვირველია, ყოველივე ეს მათ უკმაყოფილებას იწვევდა...

იოსებ ზისელნიმა გულთბილ გამოსვლაში გულისტკივილით ისაუბრა აგრესიის ფაქტზე, ყოველი დაზარალებული ადამიანის მიმართ გამოხატა ღრმა პატივისცემა, თანაგრძნობა და შეკრებილთ ალუთქვა, რომ ევრო-აზიის ებრაული კონგრესი კიდევ იზრუნებს თანხების მოსაზიდვად, რათა ქალაქში დარჩენილებსაც მიიღონ კონგრესის დახმარება. ბ-ნმა ი. ზისელნიამ გამოხატა

იმედი, რომ ევრო-აზიის კონგრესი, სპონსორებისაგან, ალბათ, კვლავაც მოიძიებს 20 ათას აშშ დოლარს გორელი ებრაელობის დასახმარებლად.

გაბაი მოშე ბაზაშვილმა დასვა გორის ბეით-ქენესეთის რემონტის საკითხი და სთხოვა ევრო-აზიის ებრაულთა კონგრესს ფინანსური დახმარება.

„ხესედის“ წევრებმა, გორის ებრაულმა მოსახლეობამ გამოხატა მადლიერების გრძნობა ევრო-აზიის ებრაული კონგრესისადმი. ი. ზისელნი თბილისში შეხვდა რენტიგრაფიის მინისტრს თემურ იაკობაშვილს, ისრაელის ელჩს საქართველოში ბ-ნი იცხაკ გერბერგს. ლტოლვილთათა და განსახლების მინისტრს თამარ მირელაშვილს, საქართველოს ეკონომიკის მინისტრ ე. შარაშენიძესთან განიხილა თბილისის აშკენაზ ებრაელთა სალოცავის რელიგიური ორგანიზაციის ბალანსზე გადაცემის საკითხი. იგი ასევე შეხვდა „ჯოინტის“ წარმომადგენელს სომხეთსა და საქართველოში — ს. ვლასოვს, ებრაული სააგენტოს წარმომადგენელს სამხრეთ კავკასიაში — გრიგორი ბროდსკის. ასევე შეხვდა პოლიტოლოგებს და მათთან ერთად განიხილა საქართველოში შექმნილი მდგომარეობა.

„ჯოინტი“ და პროფესიული გადაგზავნა

თავის შესავალ სიტყვაში ბატონმა დანიელ ლავითაშვილმა თქვა:

— წარმატებული სემინარების გავლის შემდეგ, რომელშიც მონაწილეობდა 25 მსმენელი, დღეს ჩვენ მოვიწვიეთ ისინი, რომლებიც მონაწილეობენ ჩვენს პროგრამაში და რომლებიც ემზადებიან სამ სპეციალობაში, ესენია: ქალთა ტანსაცმლის მკერავი, დაზღვევის აგენტი და რეკლამის აგენტი. ამ სპეციალობების დასაუფლებლად ჩვენ წარვადგინეთ 12 მსმენელი. საელჩომ გადაგზავნა საბუთები ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროში. დასტურის მიღების შემდეგ, ამ მსმენელებმა გაიარეს პროფესიული მომზადება. აღსანიშნავია, რომ ეს ყოველივე მოხდა, მაშინ, როცა საქართველოში საომარი ვითარება იყო. მიუხედავად ამისა, არც ერთმა მხარემ არ განაცხადა უარი პროექტის განხორციელებაზე. დიდ მადლობას ვუხდით ასევე ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროს, ისრაელის საელჩოს საქართველოში, „აირზენას“ ხელმძღვანელებს, იმისთვის, რომ ეს პროგრამა განხორციელდა. მომავალში, ალბათ, განათლების სამინისტროსთან ერთად, ვიზრუნებთ იმაზე, რომ ერთობლივად შევქმნათ სასწავლო ცენტრი.

ამის შემდეგ ბატონმა დანიელმა საზოგადოებას წარუდგინა ყველა ის ორგანიზაცია და მათი წარმომადგენლები, რომლებმაც წვლილი შეიტანეს ამ პროექტის განხორციელებაში. კურსდამთავრებულებს სიტყვით მიმართა პროფესიული კავშირების თავმჯდომარის მოადგილემ მერაბ დოლიძემ:

— დიდი მადლობა ყველას, ვინც თავისი მონდობით და სიყვარულით ჩადო ამ პროექტის განხორციელებაში. დიდ მადლობას ვუხდით

4 სექტემბერს საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების შენობაში ჩატარდა ჰაიფიდან დაბრუნებული მასშტაბის პროგრამის კურსდამთავრებულებისათვის სერტიფიკატების გადაცემის ცერემონია. ეს პროგრამა რამდენიმე წელიწადია საქართველოში წარმატებით ხორციელდება. პროგრამა გულისხმობს ახალგაზრდა თაობის პროფესიულ მომზადებას და შემდგომ დასაქმებას. მის განხორციელებაში მონაწილეობენ საქართველოს პროფესიული კავშირები, საქართველოში ისრაელის საელჩო („მასშვი“ პროგრამა), „ჯოინტი“, საქართველოს განათლების სამინისტრო, საგარეო საქმეთა სამინისტრო, პროფტექნიკური განათლების ცენტრი, „ალდაგი-ბისინი“ და „ჯი-პი-სი“. პროექტი დაფინანსებულია „ჯოინტის“ წარმომადგენლებმა. სამი წლის განმავლობაში ამ პროექტის წყალობით კურსდამთავრებულთა 70% იქნა დასაქმებული. პროექტის განხორციელებას ხელი შეუწყობს საკავშირებო პროგრამამ, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ხელშეწყობით შეიქმნა დასაქმების სპეციალური დეპარტამენტი, მოგვიანებით კი საბანკო.



საგანგებო და სრულყოფილებიანი ელჩი საქართველოში ბატონი იცხაკ ბარბარეძე:

— ძალზე მოხარული ვარ, რომ თქვენთან ერთად ვიმყოფები. მოხარული ვარ, რომ აქტიური მონაწილეობა მიიღეთ ამ პროექტის განხორციელებაში. ეს კურსი მიზნად ისახავდა „მასშვის“ პროგრამის მიხედვით ქართველი სპეციალისტების მომზადებას, ისრაელი საშუალებას აძლევს ხალხს, რომ მიიღონ მომზადება თავიანთ სპეციალობებში. ვიმედოვნებ, რომ ეს პროექტი მომავალშიც გაგრძელდება. ყველა

დახმარებას ჩვენი სამინისტრო კვლავ გააგრძელებს. ვიმედოვნებ, რომ ეს პრობლემა მალე მოგვარდება და საქართველო იქნება მომსწრე ახალი აღორძინების და განვითარების. ისრაელის საელჩო კვლავაც შეეცდება, რომ საქართველოს განვითარებაში თავისი მცირეოდენი წვლილი შეიტანოს. „ჯოინტის“ წარმომადგენელი საქართველოში ბატონი სარგო ვლასოვი:

— ჩვენი ორგანიზაცია 94 წლისაა, ამ ხნის განმავლობაში ყოველთვის ვცდილობდით არა მხოლოდ ებრაელების, არამედ იმ ხალხის დახმარებასაც, რომელ ქვეყანაშიც ვიმყოფებოდით. 2 წლის წინათ ჩვენ გადავწყვიტეთ მონაწილეობა მიგველო საქართველოში სხვადასხვა პროექტის განხორციელებაში. კონსულტაციების შემდეგ გადავწყვიტეთ პროგრამა „მასშვიდან“ ერთად იმ ახალგაზრდების დახმარება, რომლებსაც სჭირდებოდათ პროფესიული მომზადება და შემდეგ დასაქმება. საქართველოში შექმნილ მძიმე ვითარებაში მოხერხდა ახალგაზრდების გაგზავნა ისრაელში. ვიმედოვნებ, რომ ეს პროგრამა არ დარჩება განვითარების გარეშე.

ნიუ-იორკის „ჯოინტის“ კოორდინატორი ალექსისი ფრანკელი:

— მოხარული ვარ, რომ ვიმყოფები თქვენთან ერთად. მე აქ ვცხოვრობდი 2006-2007 წლების განმავლობაში და სპეციალურად ვმუშაობდი ამ პროგრამაზე. ამ ხნის განმავლობაში ძალიან შემეყვარა ეს ქვეყანა და გადავწყვიტე გამეკეთებინა ყველაფერი იმ მშვენიერი ქვეყნისათვის, ჩავაქსოვე ამ საქმეში მთელი ჩემი გამოცდილება და მონდობა. მე მინდა გავაცნო ამერიკელ ებრაელებს ეს შესანიშნავი ქვეყანა. როდესაც მე და ბატონი დანიელი პირველად შევხვდით ერთმანეთს, ამ კურსისათვის გვყავდა 18 ქალბატონი. ახლა სიამაყით შემიძლია განვაცხადო, რომ ორასამდე ადამიანმა მიიღო განათლება და მათ შეუძლიათ იმუშაონ ამ სპეციალ-

ობებით. მადლობას ვუხდით ყველას, ვისთან ერთადაც მიწვევა მუშაობა. რთული იყო ამ მსმენელების გაგზავნა ისრაელში. ჩვენ ძალიან დიდი სამუშაო გავწიეთ ნიუ-იორკის ოფისში, მაგრამ ეს ყველაფერი არ მოხდებოდა ბატონი დანიელი, ბატონი სერგეის დახმარების გარეშე. დიდი მადლობა მათ. განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით „მასშვის“, ისრაელის საელჩოს და განათლების

სამინისტროს. დიდ მადლობას ვუხდით პროგრამის მონაწილეებს, რომლებმაც საქართველოსთვის ამ მძიმე ვითარებაში მიატოვეს თავიანთი ქვეყანა და ოჯახები. თქვენ ხართ ჩვენთვის სტიმულის მომცემი, იმისთვის, რომ უფრო გულდასმით და კარგად გავაკეთოთ ჩვენი საქმე.

პროგრამის კოორდინატორი თბილისში ქალბატონი პირიკა ლასაძე:

— მოხარული ვარ, რომ გვაქვს ასეთი მჭიდრო ურთიერთობა მაშვეთან და განათლების სამინისტროსთან. მივესალმები ყველა კურსდამთავრებულს და ვიმედოვნებ, რომ ისინი მიაღწევენ დიდ წარმატებას. ჩვენ არ შევწყვიტავთ ამ პროგრამის განხორციელებას. ეს არ იქნება მხოლოდ ებრაელებისთვის, ჩვენ მოხარულნი ვართ, რომ ამ კურსდამთავრებულებს შორის არიან ქართველები.

სიტყვები წარმოთქვამს საქართველოს განათლების სამინისტროს წარმომადგენელმა, ქალბატონმა ნანი დალაქიძემ, მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ გურამ ბათიაშვილმა, ხოლო ინგლისურენოვან გაზეთ „მესენჯერის“ რედაქტორმა ზაზა ბარჩილაძემ კურსდამთავრებულებს იქვე შესთავაზა დასაქმება.

კურსდამთავრებულებს საზეიმოდ გადაეცათ სიგელები. მსმენელები თავიანთ აღფრთოვანებას და მადლიერებას ვერ ფარავდნენ. იმედს ვიტოვებთ, რომ მსგავსი პროექტები კვლავ განხორციელდება საქართველოში, რაც ხელს შეუწყობს მომავალი თაობის პროფესიულ დახელოვნებას.

თინათინ შინგალია

ამერიკის ებრაელთა გაერთიანებული გამაგრებელი კომიტეტი „ჯოინტი“-ს ფილიალი საქართველოში და პროფესიული განათლების მუშაკთა და სტუდენტთა კავშირი აცხადებს სასწავლებლად მსმენელთა მიღებას შემდგომი დასაქმებით ჩამოთვლილ სპეციალობებში:

1. ქალის ტანსაცმლის მკერავი
2. სასტუმროს ადმინისტრატორი
3. მზარეული
4. სადაზღვევო აგენტი
5. სარეკლამო აგენტი
6. გამყიდველ - კონსულტანტი, მოლარე

სასწავლებლად ჩაირიცხებიან საშუალო და უმაღლესი განათლების მქონე 18-დან 40 წლამდე ასაკის მსურველები. მეცადინეობა ჩატარდება ყოველდღიურად, სწავლის ხანგრძლივობა - დღეში 4 საათი შაბათ-კვირის გარდა. ზემოაღნიშნულ პროფესიებს დაგაუფლებენ მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც წამყვან თანამდებობებს იკავებენ საქართველოს წარმატებულ კომპანიებში.

კურსის წარმატებით დამთავრებულთა მინიმუმ 70% დასაქმდება, ზემოთ ხსენებული სპეციალობებით, ისეთ პრესტიჟულ კორპორაციებში, როგორცაა: Miller & Company, Aldagi, GPI Holding.

სწავლის პროცესი დაიწყება 2008 წ. ოქტომბრიდან. სწავლების ხანგრძლივობაა 7 თვე. საბუთების მიღება — 2008 წლის 1 სექტემბრიდან 25 სექტემბრამდე დილის 10:00 საათიდან - 17:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: მანაძის ქუჩა 4b, მე-2 სართული. („ჯოინტი“-ს წარმომადგენლობა).

მსმენელების ჩარიცხვა განხორციელდება გასაუბრება-ტესტირების შედეგად, რომელიც ჩატარდება 18-დან - 30 სექტემბრამდე. საკონტაქტო ტელეფონი: 99 74 00; 99 59 45; 99 61 67.

საკონტაქტო პირი: ალექსანდრა ჯინჯიხაშვილი; ნათია პაპისმელოვი.

ადგილების რაოდენობა შეზღუდულია. გისურვებთ წარმატებას!



ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროს. მინდა მივმართო კურსდამთავრებულებს: ყველაფერი გაკეთდა იმისთვის, რომ ეს ახალგაზრდები გადამზადებულიყვნენ და დაუფლებოდნენ პროფესიას, დაწარმებული უკვე მათ მონდობებს და შესაძლებლობებს უნდა მივანდოთ. პროფესიული კავშირის გაერთიანება ვალდებულეობას ვიღებთ, რომ გავაგრძელოთ ეს პროექტი და კიდევ სხვა პროექტები, რომლებიც დადებითად წაადგება ახალგაზრდების პროფესიულ მომზადებას და მათ დასაქმებას.

სიტყვით გამოვიდა ისრაელის მონაწილეს, ვინც იყო ისრაელში და გაიარა ეს კურსი „მასშვის“ პროგრამის მიხედვით, ვეპატიყები „შალომ-კლუბში“. კარგადაა ნათქვამი „მეგობარი მეგობარს გაჭირვებაში ყოველთვის მიეხმარება“. იმედია, საქართველოსა და ისრაელს შორის თანამშრომლობა გაგრძელდება. ისრაელმა საქართველოს გაუწია ჰუმანიტარული დახმარება, რომელიც მომავალშიც გაგრძელდება. ჩვენ ომის დროს დაჭრილი 20 ჯარისკაცი გადავიყვანეთ ისრაელში, სადაც მათ ჩაუტარებდათ სამედიცინო დახმარება. დაჭრილი ჯარისკაცების


შრომები V

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ხელშეწყობით გამოვიდა დავით ბააზოვის საქართველოს ებრაელთა ისტორიის მუზეუმის შრომების მე-5 ტომი. ამ პროექტში მონაწილეობენ: ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ასოციაცია, ასირიოლოგთა, ბიბლიისტთა და კავკასიოლოგთა საზოგადოება, საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესი. ტომის რედაქტორია — გ. ლამბაშიძე. სარედაქციო კოლეგიაში შედიან: ჯ. აჯაიშვილი, დ. ბააზოვი, გ. ბათიაშვილი, გ. ბენორენი, ზ. დავარაშვილი, ი. დავიდი, ზ. კიკნაძე, ე. მამისთვალისძე, თ. მამისთვალისძე-კეზერაშვილი, გ. მირცხულავა, მ. ლამბაშიძე, თ. ცაგარეიშვილი, შ. ნინუაშვილი. კორექტორი: დ. გერმანიშვილი. წიგნის გარეკანზე მოთავსებულია საქართველოს მეფის ვახტანგ VI (1675-1737) გერბი (ქ. ასტრახანის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი).

შრომების მე-5 ტომში შესულია შემდეგი შრომები:

გივი ლამბაშიძე — ს.ს.ი.პ. დავით ბააზოვის საქართველოს ებრაელთა ისტორიის მუზეუმში — 75, მალხაზ აბდუშელიშვილი — „ქართველ ებრაელთა ანთროპოლოგიის საკითხები“. გურამ ბათიაშვილი — „სიონიზმი და კონსტანტინე გამსახურდია“. ზაირა დავარაშვილი — „მიკვე“ — ებრაული რიტუალური განსაზღვრები, კორნელი დანელია — „პოეტური ენის სპეციფიკისათვის“, ქეთევან დიდიშვილი — „აბრამ ბაზელის

(ბაზაზაშვილი) შემოქმედება“, რეუვენ ენოხი (რუბენ ენუქაშვილი) — „ქართული სიონიზმის სათავეებთან“. დავით ბააზოვის „შეხვედრები ენის საკითხზე“. ნათან თაფლიაშვილი — „საგანმანათლებლო ცენტრი „თიფერეთი““. გურამ თევზაძე — „ებრაელ ფილოსოფოსთა ინტერპრეტაციები საქართველოში“. მანუჩარ ლორია, თემურ ტუნაძე — „ებრაელთა საცხოვრებელი და საქართველოში მათი ადაპტაციის ზოგიერთი ასპექტი“. თამარ მამისთვალისძე-კეზერაშვილი — „თორის თარგმნიდან — ერთტომეულის გამოცემამდე“. ელდარ მამისთვალისძე — „ბაგრატიონთა სამეფო გვარის წარმოშობა და გავლენიერება“. გურამ მირცხულავა, ნანა მირცხულავა — „კავკასია ადრეულითონების ხანის ევროპის არქეოლოგიურ კულტურათა სისტემაში“. ავთანდილ ნიკოლეიშვილი — „გურამ ბათიაშვილის დრამატურგია“. ირმა პაატაშვილი „საქართველოს ებრაელთა კულტურის ცენტრი 20 წლისა“. ალექსანდრე სანიკიძე — „მსოფლიოს ქართველ ებრაელ ქალთა ასოციაცია საქართველოში“. ალექსანდრე სანიკიძე „მუზეუმის ახალი ექსპონატი“. გივი ლამბაშიძე — „ქართული ისტორიოგრაფიისა და ებრაისტიკის შენაძენი“. მაია ლამბაშიძე — „მასალები აქადურ-ქართული ლექსიკონისათვის“. ვახტანგ შამილაძე, ნანა შამილაძე — „გერცელ ჩაჩაშვილი და ქართული ეთნოლოგიის პრობლემები“. თამილა ცაგარეიშვილი —



„რეცენზია ალექსანდრა გეგეჭკორის ნაშრომზე — „საქართველოს ებრაული გალუთი (დიასპორა) XIX საუკუნის მეორე ნახევარში თბ., 2001 წ.“

ნინო ძულიაშვილი „ებრაელი ქალის საქორწინო ჩაცმულობა სამუზეუმო კოლექციების მიხედვით“, შალვა ნინუაშვილი — „ქართველ ებრაელთა გავლენები „ხმა ებრაელისა“, „მაკაველი“ და კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაცია „თარბუთი“.

შრომების კრებული გამოსცა გამომცემლობა „უნივერსალმა“.

როგორც ცნობილია, მუზეუმის შენობა ერთობ ავარიულ მდგომარეობაშია. ამიტომ სარედაქციო კოლეგია სატიტულო ფურცელზე ათავსებს მოწოდებას „გადავარჩინოთ ეროვნულ-საერთაშორისო მნიშვნელობის მუზეუმის ავარიული შენობა დანგრევისაგან.“

საყურადღებო მოწოდებაა. ეს ნაგებობა ისტორიული მნიშვნელობისა და საჭიროა ყურადღილოთ ეს მოწოდება.

გამარჯვებული ძიუდოსტი

ამას წინათ ჰოლანდიაში, ქალაქ ვენრაიში გამართა ევროპის ბავშვთა ლია პირველობა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 10 წლის თბილისელმა მოზარდმა ალექო ბაზაზაშვილმა და ინტერნაციონალური ძიუდოს ტურნირში მესამე ადგილი მოიპოვა. ალექოს მშობლები — დავით და თამარ ბაზაზაშვილები — მაქსიმალურად ცდილობენ ბავშვის შესაძლებლობების გამოვლენას. დავით ბაზაზაშვილმა, როდესაც ტურნირის შესახებ შეიტყო, თავად წარადგინა ალექოს კანდიდატურა და თავადვე ახლდა ჰოლანდიაში შვილს.

ჩვენ თავად პრიზიორს გავესაუბრეთ.

ალექო ბაზაზაშვილი:

— მე 5 წლიდან დავიწყე ვარჯიში, ჩემი მწვრთნელი ვაჟა ბალხამიშვილი იყო და დღესაც ის მავარჯიშებს.

— რა იგრძენი, როცა გამარჯვებულთა შორის აღმოჩნდი?

— ძალიან ბედნიერი ვიყავი, არ ვიცოდი სიხარული როგორ გამოვხატა.

— როგორ ფიქრობ, ვისი დამსახურებაა, რომ ამხელა წარმატებას მიაღწიე?

— მშობლების, მწვრთნელის და ჩემი.

— აპირებ სპორტის ამ სახეობაში კვლავაც ივარჯიშო?

— რა თქმა უნდა. ბავშვობიდან ამისთვის ვემზადები და მომავალშიც აუცილებლად გავაგრძელებ.

დავით ბაზაზაშვილი:

— თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რამხელა ბედნიერება იყო ჩემთვის, როცა ალექო გამარჯვებულთა სიაში აღმოჩნდა. დიდ იმედებს ვამყარებთ მასზე, მჯერა, რომ ერთხელაც მსოფლიო ჩემპიონი გახდება.

— თუ არის დაგეგმილი კიდევ სხვა ჩემპიონატებში ალექოს მონაწილეობა?

— რა თქმა უნდა, წინ მრავალი ჩემპიონატი გველის და ალექო მათში მონაწილეობას მიიღებს, ოღონდ გვინდა, რომ ისრაელის სახელით წარსდგეს, თავად ბავშვი ისრაელის მოქალაქეა, გაგვეზარდება, თუ ჩვენს ებრაელობას ასახელებს.

ალექო ინტერვიუზე პირდაპირ ვარჯიშიდან მოვიდა. პატარა პრიზიორი თავს არ ზოგავს უფრო დიდი წარმატების მისაღწევად. ჩვენ წინსვლას და მრავალ გამარჯვებას ვუსურვებთ მას!



თინათინ შანგელია

საქართველოს ებრაელთა საქველმოქმედო ცენტრი „ხესედ ელიაუ“ ჩვენს ცენტრში აღრიცხვაზე მყოფ სამეურვეო პირებისათვის აცხადებს გენდერს ერთჯერად მომარაგებაზე საყოფაცხოვრებო ქიმიისა და ჰიგიენის სხვადასხვა სახის საგნებისაგან შემდგარ ამანათებზე, ასევე ლოგინის თეთრეულის კომპლექტების მოწოდებაზე.

გენდერში მონაწილეობის მსურველ იურიდიულ პირებს საშუალება ექნებათ, გაეცნონ გენდერის პირობებს „ხესედ ელიაუ“-ს აღმინისტრაციასში.

მისამართი: თბილისი, ვახტანგ VI ქ. №30, II სართული.

გენდერის პირობების გასაცნობად აუცილებელია შემდეგი საბუთების წარმოდგენა:

1. იურიდიული პირის წესდების ასლი;
2. სარეგისტრაციო მოწმობის ასლი;
3. ორგანიზაციის იურიდიული მისამართი;
4. ორგანიზაციის ხელმძღვანელის პირადობის მოწმობის ასლი და საკონტაქტო გელეფონი;
5. ორგანიზაციის საბანკო რეკვიზიტები;
6. ცნობა ბანკიდან იმის თაობაზე, რომ ორგანიზაციის ანგარიში მოქმედია და არ ერიცხება საბიუჯეტო დაგვლიანება.

ლოკუმენტის მიღება და გენდერის პირობების გაცნობა — 2008 წლის 15 ოქტომბრამდე.

ამერიკის ებრაელთა საქველმოქმედო გამავრცელებელი ორგანიზაციის — „ჯოინთის“ თბილისის წარმომადგენლობა სერგეი ვლასოვის მეთაურობით თანაგრძნობას უცხადებს წარმომადგენლობის ყოფილ ხელმძღვანელს მეირ ზიზოვს დედის **ქ-ნი ეთერის** გარდაცვალების გამო.

„თბილისური შემოდგომა“

27 სექტემბერი, 19 საათი

ოპერისა და ბალეტის თეატრი

კომპოზიტორ იოსებ ბარდნაშვილის (ისრაელი) საავტორო კონცერტი

პროგრამაშია: ელეგია (ფსალმუნი 21) სიმებიანი ორკესტრისათვის, სიმფონია 2 დიდი სიმფონიური ორკესტრის, დიალოგები ჩელოსა და ორკესტრისათვის, „წმინდა ლოცვანი“ მომღერლისა და სიმფონიური ორკესტრისათვის, **სოლისტები:** ელი ბენ ზაკენი, ცვიკა პლეისერი (ისრაელი)

დირიჟორი ვახტანგ კახიძე

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

საქართველოს პროფესიული განათლების მუშაკთა და სტუდენტთა პროფესიული კავშირი ამერიკის გაერთიანებულ გამავრცელებელ კომიტეტთან „ჯოინთ“-თან ერთად აცხადებს მსმენელთა მიღებას შემდგომი დასაქმებით ჩამოთვლილ სპეციალობებში:

1. ქალის ტანსაცმლის მკერავი;
2. სარეკლამო აგენტი;
3. სადაზღვევო აგენტი;
4. მზარეული;
5. გამყიდველი-მოლარე;
6. სასტუმროს ადმინისტრატორი;

სასწავლებლად ჩარიცხვებიან საშუალო და უფრო მაღალი განათლების მქონე 18-დან 35 წლამდე ასაკის პირები. სასწავლო პროცესი დაიწყება 2008 წლის 15 ოქტომბერს, სწავლების ხანგრძლივობა 7 თვე, მ.შ. (4 თვე თეორიული სწავლება, 2 თვე სტაჟირება შესაბამის დანესებულებაში, 1 თვე საშობაო არდადეგები). წარმატებული კურსდამთავრებულები დასაქმდებიან.

საბუთების მიღება: 2008 წლის 15 სექტემბრიდან 15 ოქტომბრამდე დილის 10:00 საათიდან — 17:00 საათამდე.

მსმენელების ჩარიცხვა განხორციელდება გასაუბრება-ტესტირების შედეგად, რომელიც ჩატარდება 5-დან — 15 ოქტომბრამდე.

დამატებითი ინფორმაციისათვის საკონტაქტო ტელეფონები: 32-35-64; 899 57-20-55; 877 72-27-09

დამფუძნებელი და გამომცემელი:
გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე
 თბილისი, ლეონიძის 1 ს, ვახტანგ VI ქ. №30
 ტელეფონები: 99.90.96, 77.20.57



რეგისტრირებულია
 ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს მიერ.
 რეგისტრაციის № 4/1-921



რედაქტორი
გურამ ბათიაშვილი